

შესყიდვის ზოგადი შეტყობინება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD, ბანკი) სესხის მეშვეობით შპს "საქართველოს რკინიგზაში" იგეგმება "თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის" (პროექტს) განხორციელება ახალი სარკინიგო მარშრუტის შესამუშავებლად, რომელიც გვერდს აუვლის ქ. თბილისის ცენტრალურ ნაწილს.

აღნიშნული პროექტი განხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის თანადაფინანსებით.

შემოთავაზებულ პროექტს, რომლის წინასწარი, სავარუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 230 მილიონ ევროს (დღგ-ს გარეშე), დასჭირდება შემდეგი საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა:

- სამშენებლო სამუშაოების შესრულება (ჩატარება) დაახლოებით 30კმ რკინიგზის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე (მიწის ვაკისის და გზაგამტარების ჩათვლით)
- გვირაბების, ხიდების და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა.

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებზე წინასაკვალიფიკაციო პროცედურის დაწყება მოსალოდნელია 2009 წლის მეოთხე კვარტალში.

ხელშეკრულებები, რომლებიც დაფინანსდება ბანკის სესხით, ექვემდებარება ბანკის შესყიდვის პოლიტიკას და წესებს და ღია იქნება ნებისმიერი ქვეყნის კომპანიისათვის.

ბანკის სესხი არ გამოიყენება ისეთ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებზე ან, ისეთი სახის საქონლის იმპორტისათვის, რომლის ანაზღაურება ან იმპორტი აკრძალულია გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების წესდების VII თავის მიხედვით, ან შემსყიდველის ქვეყნის კანონით.

შპს "საქართველოს რკინიგზა"
დიმიტრი ქემოკლიძე
თამარ მეფის 15, თბილისი, 0112, საქართველო
Tel: +99532 563159
Fax: +99532 564857